19/02/2018

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინიტრის მოადგილეს ქალბატონ თამილა ბარკალაიას

ქალბატონო თამილა,

გაცნობებთ, რომ ა(ა)იპ „ჯანმრთელობის დაცვისა და ადამიანის უფლებების კვლევის ცენტრი“, „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირთან“ და „ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრთან“ ერთად ახორციელებს პროექტს: **„გურიის რეგიონში სამოქალაქო საზოგადოების ადგილობრივი ორგანიზაციებისა და სოციალური მუშაკების როლის გაძლიერება ოჯახების მხარდაჭერის მიზნით“.**

პროექტი მიზნად ისახავს გურიის თემში ოჯახის გაძლიერების და ბავშვის ოჯახისგან დაშორების პრევენციის ხელშეწყობას საჭიროებებზე დაფუძნებული სერვისების მოდელის შემუშავების, სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობისა და ინტერსექტორული თანამშრომლობის განვითარების გზით.

პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის და ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს მიერ პროექტის „სოციალური მუშაკები სოციალური ცვლილებისთვის აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში (SWIC)“ ფარგლებში და ახორციელებს „საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია“ პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად: ჰილფსვერკ ავსტრია (HWA), სომხეთის სოციალურ მუშაკთა ასოციაცია(AASW), აზერბაიჯანის სოციალური მუშაობის საზოგადოებრივი კავშირი (ASWPU) და მოლდოვის რესპუბლიკის ექთნების ასოციაცია (NARM).

გაცნობებთ, რომ პროექტის ფარგლებში, **27 თებერვალს 16:00 საათზე** საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკაში (ლ. გუდიაშვილის ქ #7, თბილისი) გაიმართება შეხვედრა დაინტერესებულ მხარეებთან და გადაწყვეტილების მიმღებებ პირებთან ოჯახის გაძლიერების და ბავშვის ოჯახისგან დაშორების ეფექტური პრევენციული სერვისების მოდელის დანერგვისა და ინტერსექტორული თანამშრომლობის ადვოკატირებისათვის.

გთხოვთ, თქვენს მონაწილეობას აღნიშნულ ღონისძიებაში.

პატივისცემით,
ნინო მირზიკაშვილი _____

პროექტის კოორდინატორი
ა(ა)იპ „ჯანმრთელობის დაცვისა და ადამიანის უფლებების კვლევის ცენტრი“